# ენერგეტიკული ბალანსი

| 1. საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| 1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) |
| 1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული | ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი<br>მრეწველობის, მშენებლობისა და ენერგეტიკის სტატისტიკის სამმართველო |
| 1.3. საკონტაქტო პირი | დავითი ჟორჟოლიანი<br>მარინე გოგოლაძე |
| 1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია | ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი<br>მრეწველობის, მშენებლობისა და ენერგეტიკის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი |
| 1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი | ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30 |
| 1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი | dzhorzholiani@geostat.ge<br>mgogoladze@geostat.ge |
| 1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი | +995 32 236 72 10 (601)<br>+995 32 236 72 10 (208) |
| 1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი | - |

| 2. მეტამონაცემების განახლება | |
|---|---|
| 2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება | 2024 წ. 11 ივნისი |
| 2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება | 2024 წ. 11 ივნისი |
| 2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება | 2024 წ. 11 ივნისი |

**3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა**

**3.1. მონაცემების აღწერა**

ენერგეტიკული ბალანსი წარმოადგენს სტატისტიკურ ანგარიშს ენერგორესურსების წარმოების, ვაჭრობის, ტრანსფორმაციისა და საბოლოო მოხმარების შესახებ. საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი შეესაბამება ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (IEA) და ევროსტატის სტანდარტებს და ითვალისწინებს ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2008 წლის 22 ოქტომბრის No 1099/2008 მოთხოვნებს ენერგეტიკის სტატისტიკის შესახებ. ენერგეტიკული ბალანსი მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს ენერგორესურსების შესახებ:

- წარმოება;
- იმპორტი;
- ექსპორტი;
- საერთაშორისო საზღვაო ბუნკერები;
- საერთაშორისო საჰაერო ბუნკერები;
- მარაგების ცვლილება;
- შიდა მიწოდება;
- ხელმისაწვდომი;
- გარდაქმნები;
- სტატისტიკური განსხვავება;
- ტრანსფორმაციის სექტორი – შემავალი;
- ტრანსფორმაციის სექტორი – წარმოება;
- ენერგეტიკის სექტორის საკუთარი მოხმარება;
- დანაკარგები;
- საბოლოო მოხმარება.

**3.2. კლასიფიკაციის სისტემა**

ენერგეტიკული ბალანსი შედგენილია ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ 006-2016) მიხედვით:
https://www.geostat.ge/media/61330/NACE-Rev_2_Geo_2023.pdf

ენერგო პროდუქტების ნომენკლატურა მოცემულია ენერგეტიკის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად (IRES), UN, 2018:
https://www.geostat.ge/media/52763/International-Recommandations-for-Energy-Statistics.pdf

**3.3. სექტორის მოცვა**

ენერგეტიკის სტატისტიკის კვლევის ობიექტია ენერგორესურსების მწარმოებელი, გამანაწილებელი, იმპორტიორი და ექსპორტიორი ორგანიზაციები და ენერგიის საბოლოო მომხმარებელთა ჯგუფები.

**3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები**

ენერგეტიკის სტატისტიკის განსაზღვრებები, ცნებები და მეთოდოლოგია ჰარმონიზებულია საერთაშორისო დონეზე. მეთოდოლოგია აღწერილია ენერგეტიკის სტატისტიკის სახელმძღვანელოში, განმარტებები და ცნებები მოცემულია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2008 წლის 22 ოქტომბრის რეგულაციაში (EC) No 1099/2008 ენერგეტიკის სტატისტიკის შესახებ.

**ენერგიის წარმოება** – ენერგორესურსები უშუალოდ მოიპოვება ან მიიღება ბუნებრივი რესურსებისგან. ენერგია შეიძლება იყოს პირველადი ან მეორადი. პირველადი ენერგია მოიპოვება სხვადასხვა წყაროებიდან, როგორიც არის: ნედლი ნავთობი, ქვანახშირი, ბუნებრივი აირი, ჰიდროენერგია, ქარი, მზე, გეოთერმული, ბიოსაწვავი და ნარჩენები და ა.შ. მეორადი ენერგია მიღება პირველადი ან მეორადი ენერგიის ტრანსფორმაციის შედეგად (ნავთობპროდუქტები, თბოსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგია და სხვ.). ენერგორესურსი ასევე შეიძლება იყოს განახლებადი და არაგანახლებადი. განახლებად ენერგიას მიეკუთვნება ჰიდროენერგია, ქარის-, მზის-, გეოთერმული ენერგია, ბიოსაწვავი და ნარჩენები.

**იმპორტი** – მოიცავს ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსულ პირველად და გარდაქმნილ ენერგიას. ბუნებრივი აირის ტრანზიტული მოცულობა იმპორტში არ აისახება.

**ექსპორტი** – მოიცავს ეროვნული ტერიტორიიდან გასული ენერგორესურსების მოცულობას. იგულისხმება როგორც ადგილობრივი ექსპორტი, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი. ადგილობრივი ექსპორტი მოიცავს როგორც ქვეყანაში წარმოებული, ისე საზღვარგარეთიდან იმპორტირებული იმ საქონლის ექსპორტს, რომელმაც განიცადა არსებითი სახეცვლილება ან ქვეყნის ფარგლებში გადამუშავების შედეგად მოხდა მისი ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა.

**საერთაშორისო საზღვაო ბუნკერები** – მოიცავს საწვავს, რომელიც მიეწოდება საზღვაო გემებს მოხმარებისთვის, ტვირთის ან მგზავრების გადაზიდვისას საერთაშორისო მოგზაურობის დროს. საერთაშორისო საზღვაო ბუნკერები არ მოიცავს საწვავის მიწოდებას ქვეყნის შიდა ნავიგაციისთვის და თევზჭერისთვის, რაც ენერგიის საბოლოო მოხმარებად მოიაზრება. ენერგეტიკის სტატისტიკის მიზნებისთვის საერთაშორისო საზღვაო ბუნკერები არ შედის ექსპორტში, ისინი ჩართულია ცალკე მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაგალითად, სათბურის აირების ემისიის შესაფასებლად.

**საერთაშორისო საჰაერო ბუნკერები** – მოიცავს საწვავს, რომელიც მიეწოდება სამოქალაქო ავიაციას მოხმარებისთვის, ტვირთის ან მგზავრების გადაზიდვისას საერთაშორისო ფრენების დროს. საერთაშორისო საჰაერო ბუნკერები არ მოიცავს საწვავის მიწოდებას ქვეყნის შიდა ფრენებისათვის, რაც ენერგიის საბოლოო მოხმარებად (შიდა ავიაცია) მოიაზრება. ენერგეტიკის სტატისტიკის მიზნებისთვის საერთაშორისო საჰაერო ბუნკერები არ შედის ექსპორტში, ისინი ჩართულია ცალკე მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაგალითად, სათბურის აირების ემისიის შესაფასებლად.

**გაანგარიშების ფორმულა თითოეული ენერგეტიკული პროდუქტისათვის:**

**მარაგების ცვლილება** – მარაგების სხვაობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის.

**შიდა მიწოდება** – წარმოება+იმპორტი-ექსპორტი+/-მარაგების ცვლილება.

**ხელმისაწვდომი** – შიდა მიწოდება+პირველადი ენერგიის ტრანსფორმაციის/გადამუშავების შედეგად მიღებული ენერგია.

**ტრანსფორმაციის სექტორი – შემავალი –** ენერგიის პირველადი ფორმა გარდაქმნისათვის.

**ტრანსფორმაციის სექტორი – წარმოება –** პირველადი ენერგიის გარდაქმნის/გადამუშავების შედეგად მიღებული ენერგია.

**ენერგეტიკის სექტორის საკუთარი მოხმარება –** საწარმოში განათების, გათბობის, სატუმბი სადგურების მუშაობის და სხვა მიზნით მოხმარებული ენერგია. მაგალითად, ქვანახშირის მაღაროში, ელექტროსადგურებში, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების პროცესში მოხმარებული ენერგია.

**დანაკარგები –** დანაკარგები ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის გადაცემის და განაწილების სისტემაში, ასევე დანაკარგები ქვანახშირის მაღაროებში და სხვა.

**საბოლოო მოხმარება –** ენერგიის მოხმარება მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით (მრეწველობა, ტრანსპორტი, კერძო და სახელმწიფო მომსახურება, შინამეურნეობები, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა და სხვა სექტორები). აგრეთვე მოიცავს არაენერგეტიკული მიზნებისთვის მოხმარებულ ენერგიას.

**3.5. სტატისტიკური ერთეული**

| |
|---|
| სტატისტიკური ერთეული არის საწარმო, შინამეურნეობა, სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციები და სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულები. |
| **3.6. სტატისტიკური პოპულაცია** |
| გამოკვლევა მოიცავს მეწარმე/ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ ენერგორესურსების მწარმოებლებს, მიმწოდებლებსა და გამანაწილებლებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს და ენერგიის საბოლოო მომხმარებელთა ჯგუფებს. |
| **3.7. საანგარიშო არეალი** |
| საქართველოს მთელი ტერიტორია, გარდა ოკუპირებული რეგიონებისა. |
| **3.8. დროის მოცვა** |
| 2013 წლიდან. |
| **3.9. საბაზო პერიოდი** |
| - |

| |
|---|
| **4. ზომის ერთეული** |
| ფიზიკური ერთეულები (ათასი ტონა, გვტ·სთ, მლნ. კუბ. მ, ათასი კუბ. მ), ენერგიის ერთეულები (ტერაჯოული, ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტი (ათასი TOE)). |

| |
|---|
| **5. საანგარიშო პერიოდი** |
| კალენდარული წელი. |

| |
|---|
| **6. ინსტიტუციური მანდატი** |
| **6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები** |
| საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“;<br>https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf<br>სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა;<br>https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa<br>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება.<br>https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf |
| **6.2. მონაცემთა გაზიარება** |
| - |

| |
|---|
| **7. კონფიდენციალურობა** |
| **7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა** |
| 1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:<br>• კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ანიურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.<br>• კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. |

საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.

- კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული დ ადამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება.

https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf

2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“
https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf
3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“
https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

**7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა**

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

**8. გამოქვეყნების პოლიტიკა**

**8.1. გამოქვეყნების კალენდარი**

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა**

https://www.geostat.ge/ka/calendar

**8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა**

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

**9. გავრცელების სიხშირე**

წლიური.

**10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა**

**10.1. პრეს–რელიზები**

გამოკვლევის შედეგებს თან ერთვის პრეს-რელიზი:
https://www.geostat.ge/ka/news

**10.2. პუბლიკაციები**

საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი:
https://www.geostat.ge/index.php/ka/single-categories/118/sakartvelos-energetikuli-balansi

**10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა**

ენერგეტიკული ბალანსის ცხრილები ხელმისაწვდომია MS Excel-ის ფორმატით:
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/328/sakartvelos-energetikuli-balansi

**10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა**

მიკრომონაცემები ხელმისაწვდომია „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად:
https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf

**10.5. სხვა**

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქსტატი სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სტატისტიკური პუბლიკაციისა და მონაცემების ყველა მომხმარებლისთვის უსასყიდლოდ, ელექტრონული ფორმით მიწოდებას.

**10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე**

ენერგეტიკის სტატისტიკის სახელმძღვანელო:
https://www.geostat.ge/media/13382/8.-Manual-of-energy-statistics-%28Eurostat%2C-OECD%2C-International-Energy-Agency%29.pdf
ენერგეტიკის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები (IRES), UN, 2018:
https://www.geostat.ge/media/52763/International-Recommandations-for-Energy-Statistics.pdf
ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2008 წლის 22 ოქტომბრის რეგულაცია (EC) No1099/2008 ენერგეტიკის სტატისტიკის შესახებ.

**10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ**

-

## 11. ხარისხის მართვა

**11.1. ხარისხის უზრუნველყოფა**

სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).

**11.2. ხარისხის შეფასება**

საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია ვებ-საიტზე:
https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

## 12. შესაბამისობა

**12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები**

მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: სამინისტროების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები (ევროსტატი, ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო, ენერგეტიკული გაერთიანება, გაეროს სტატისტიკის განყოფილება, გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისია, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (სტატისტიკის დირექტორატი)), სახელმწიფო ორგანიზაციები, ექსპერტები, მედია საშუალებები, სტუდენტები და სხვ. მათ აღნიშნული მონაცემები ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად, მარკეტინგული სტრატეგიის დასაგეგმად ან ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად და შესაფასებლად.

**12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება**

2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე:
https://www.geostat.ge/ka/page/customer-service

**12.3. სისრულე**

მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

## 13. სიზუსტე და სანდოობა

**13.1. ზოგადი სიზუსტე**

| |
|---|
| მონაცემები სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და მეთოდოლოგიას. დამუშავებული მონაცემების შედარება ხდება გასული პერიოდის შესაბამის მონაცემთან. რიგ შემთხვევებში, დამუშავების პროცესში და ენერგეტიკული ბალანსის ფორმირებისას ხდება მონაცემთა გადამოწმება როგორც ადმინისტრაციულ წყაროებში, ისე საწარმოების წარმომადგენლებთან. |
| **13.2. შერჩევითი ცდომილება** |
| შერჩევის ცდომილება ქვეყნის დონეზე არ აღემატება 3%. |
| **13.3. არაშერჩევითი ცდომილება** |
| არაშერჩევითი ცდომილების მინიმიზაციის მიზნით, ხდება მონაცემების შედარება ადმინისტრაციულ წყაროებთან. |

| |
|---|
| **14. დროულობა და პუნქტუალურობა** |
| **14.1. დროულობა** |
| მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის დეკემბრის შუა რიცხვებში. |
| **14.2. პუნქტუალურობა** |
| მონაცემები ქვეყნდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. |

| |
|---|
| **15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა** |
| **15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული** |
| საქართველოს ყველა რეგიონისთვის გამოყენებულია ერთი და იგივე მეთოდოლოგია და მიდგომები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. |
| **15.2. შესადარისობა – დროში** |
| დროითი მწკრივის მონაცემები ერთმანეთთან შესადარისია. |
| **15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის** |
| მონაცემები თანამიმდევრულია. |
| **15.4. თანამიმდევრულობა – შიდა** |
| მონაცემები თანამიმდევრულია. |

| |
|---|
| **16. დანახარჯები და დატვირთვა** |
| გამოკვლევაში მონაწილეობს დაახლოებით 4 500 საწარმო. დატვირთვა და ბიუჯეტი დამოკიდებულია ფაქტობრივად გამოკვლეული საწარმოების რაოდენობაზე. |

| |
|---|
| **17. მონაცემთა გადასინჯვა** |
| **17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა** |
| სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf |
| **17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა** |
| მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) შესაძლებელია განხორციელდეს მეთოდოლოგიის შესაბამისად. |

| |
|---|
| **18. სტატისტიკური დამუშავება** |
| **18.1. პირველადი მონაცემები** |
| ენერგორესურსების წარმოების, მიწოდების და მოხმარების შესახებ გამოკვლევის შევსებული კითხვარები (ონლაინ კითხვარი). |
| **18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე** |
| წლიური. |
| **18.3. მონაცემთა შეგროვება** |
| ძირითადად გამოიყენება ონლაინ კითხვარი. ენერგეტიკული ბალანსის შესადგენად აგრეთვე გამოყენებულია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეკლარაციების მონაცემები და სხვადასხვა ადმინისტრაციული წყარო. ცალკეულ შემთხვევებში ხდება ექსპერტული შეფასება. |
| **18.4. მონაცემთა კონტროლი** |

| |
|---|
| მონაცემთა პირველადი შემოწმება ტარდება პროგრამულად, მონაცემთა ბაზაში არსებული არითმეტიკული კონტროლის საფუძველზე. მეორადი კონტროლი ხორციელდება ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველოს თანამშრომლების მიერ. |
| **18.5. მონაცემთა გაანგარიშება** |
| საწარმოთა შერჩევა ხორციელდება შემთხვევითი სტრატიფიცირებული შერჩევის საფუძველზე. მონაცემთა შეწონვა ხდება ყოველწლიურად. საწარმოთა დონეზე გამოკვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები მრავლდება შესაბამის წონებზე და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მაჩვენებლების აგრეგირება ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგიის შესაბამისად. |
| **18.6. მოსწორება** |
| არ გამოიყენება. |

| |
|---|
| **19. კომენტარი** |
| - |